ხაშურის მოამბე

№2(326) 24 იანვარი, ორშაბათი, 2022 წელი

საკრებულოს კომისიებმა მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილებების ანგარიშები მოისმინეს

20 იანვარს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა გეგმით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, სხდომები გამართეს.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსის გიორგი პაპიაშვილის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშობის შესახებ. (იხ.2-ე გვ).

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომაზე მუნიციპალურის ქონების აღრიცხვისა და მართვის გაყოფილების მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიში ბექა მაისურაძემ წარმოადგინა.

მომხსენებლებმა უპასუხეს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებსა და მოსაზრებებს.

დიდთოვლობა ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხაშურში დიდთოვლობაა.... წლეულს, ზამთარი მართლაც რომ ზამთრობს. წინასაახალწლო სამზადისშიც აქტიურად ჩაერთო და ახალ წელსაც სხვა ლაზათი და შნო შესძინა ხაშურში მოსულმა უხვმა თოვლმა. უკვე აღარ კი გვახსოვს, ბოლოს, რამდენიმე წლის წინ, როდის გაგვახარა ხვავრიელი თოვლის მოსვლამ და ამავე დროს, როდის შეგვექმნა, მუნიციპალიტეტში, დიდთოვლობის გამო, საგზაო თუ ინფრასტრუქტურული პრობლემები... ასე რომ, ხაშურსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში დეკემბრის შუა რიცხვებიდან ინტენსიურად თოვს. როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში განმარტავენ,დიდთოვლობის დაწყებიდან დღემდე მობილიზებულია ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ სამსახური. დიდთოვლობისგან გამოწვეული საგზაო შეფერხებების საწინააღმდეგო სამუშაოები გრძელდება. ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოების შესახებ ეტაპობრივად განახლებადია. ამ დროისთვის ტექნიკური მარილი მოყრილია ხაშურის ქუჩებში, სოფელ ბეკმის მისასვლელ გზაზე, სურამში, ასევე ნარვანის ჩასასვლელთან. საჭიროებისამებრ, სხადასხვა დროს მიმდინარეობს სასოფლო გზების წმენდითი სამუშაოები. ამ დროისთვის გაწმენდილია ქვიშხეთში, ბულბულისციხესა და მონასტერში, ცოცხნარასა და ცედანში, ტეზერში, სავანისუბანსა და რუსაანთუბანში, ქემფერში და სხვა სოფლებში მისასვლელი გზები.

უამინდობის გამო, შეზღუდვებია ცენტრალურ მაგისტრალებზეც, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა სპეციალური რეჟიმებით ხორციელდება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, გადაადგილება ნებადართულია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

რაც შეეხება, ამ კვირის ამინდს, სინოპტიკოსები, ჯერ-ჯერობით, საიმედო პროგნოზს ვერ გვპირდებიან. მართალია, ყინვა ოდნავ იკლებს, მაგრამ მზიანი ამინდები არ ჩანს და გამოდარებას უფრო თებერვლის პირველი დეკადის შემდეგ ვარაუდობენ.

ხაშური საქართველოს გულია

„ხაშური საქართველოს გულია“ - ბანერი, რომელიც ხაშურის შესასვლელთან - ავტომაგისტრალზე წინასაახალწლოდ აინთო, პოზიტიურ მოვლენად იქცა და არამარტო ხაშურელებისათვის. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ საქართველოში ყველა გზა ხაშურზე გადის, ჰოდა, აქეთობას და იქითობას მოძრავი მგზავრები ჩერდებიან, სამახსოვრო ფოტოებს იღებენ, სოციალური ქსელის მომხმარებლი აზიარებენ ბანერის შექმნის შესახებ ინფორმაციას, ხაშურელები ამაყობენ... ხაშური ხომ საქართველოს გულია...

ეს სიახლე ჩვენი ქალაქისათვის დიდი გულით და სიყვარულით შეიქმნა და იმედს ვიტოვებთ ჩვენც და მკითხველიც, რომ მშობლიური ქალაქისათვის საიმიჯო პროექტების შექმნა და განხორციელება მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება და ხაშური არ იქნება მავანთა და მხოლოდ ავის მოსურნეთა საქილკო...

იდეა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს თენგიზ ჩიტიაშვილს ეკუთვნის, რომლის რეალიზება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

პირველმა მოადგილემ ლევან გამრეკელმა განახორციელა, რომელიც უფრო დეტალურად გვესაუბრა სარეკლამო ბანერის იდეისა და მისი განხორციელების შესახებ.

- თავდაპირველად, როდესაც შედგა ახალარჩეული საკრებულო, მისმა წევრებმა გადავწყვიტეთ, ხაშურისათვის რაიმე განსაკუთრებული შეგვემატებინა, რაც იქნებოდა მისთვის სავიზიტო ბარათი. იდეა წამოვიდა ხაშურის მერის თენგიზ ჩიტიაშვილისაგან. მომზადებულიყო პროექტი, რომელიც მოიაზრებდა მაღალი ხილვადობის მქონე ტერიტორიაზე სარეკლმო ბანერის განთავსებას, ბანერი გამოსახავდა ფრაზას „ხაშური საქართველოს გულია“. პირველ ეტაპზე იყო მოსაზრება, რომ განთავსებულიყო ბანერი „ღორინამკალის“ მთის მწვერვალზე, თუმცა იმის გამო, რომ ხილვადობა სუსტი იქნებოდა, „ღორინამკალთან“ დაკავშირებული იდეა გამოირიცხა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდა, ბანერი განთავსებულიყო ხაშურის შემოსასვლეში.

- *ბუნებრივია, იდეის განხორციელების გზების ორგანიზების პროცესში ჩაერთნენ შესაბამისი სპეციალისტებიც...*

- იდეის განხორციელებაში თავიდანვე აქტიუარად ჩავერთეთ ბატონი თენგიზი და მე, შეირჩა სარეკლამო კომპანია, რომელიც განახორციელებდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილ მოსამზადებელ და სამონტაჟო სამუშაოებს სარეკლამო ბანერის განსათავსებლად. მოვიწვიეთ კომპანიიდან სპეციალისტები, რომლებმაც განახორციელეს სარეკლამო ბანერის განთავსებისათვის შერჩეული რამდენიმე ადგილის დათვალიერება, სწორედ მათი შეფასებითა და რჩევით გამოირიცხა ბანერის „ღორინამკალზე“ განთავსება ცუდი ხილვადობის გამო, და ასევე მათი მუშაობის შედეგად, შეირჩა ყველაზე ოპტიმალური ადგილი ბანერის განსათავსებლად, ხაშურის შემოსასვლელში, ავტომაგისტრალთან მდებარე ტერიტორია. ადგილი, რომელიც უნდა გაიაროს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ნებისმიერი მიმართულებით მოძრავმა მგზავრმა...

- *რა მოცულობისაა სარეკლამო ბანერი?*

- ბანერის სიგრძე 12 მეტრს შეადგენს, სიგანე კი 1.5 მეტრია... სიმაღლე 2 მეტრს მოიცავს. ბანერი განთავსდა. ხაშურის შემოსასვლელში და მუდმივად შეახსენებს მგზავრს, რომ ხაშური საქართველოს გულია...

- *როგორია სარეკლამო ბანერის განთავსებასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამოკიდებულება, მათი გამოხმაურება?*

- სარეკლამო ბანერის განთავსებამ, ბუნებრივია, გაამართლა - ხაშურელების მხრიდან პოზიტური გამოხმაურება მოჰყვა, განსაკუთრებით აქტიურობენ სოციალური ქსელის მომხმარებლ;ები,რომლებიც მხოლოდ დადებით შეფასებებს აკეთებენ სარეკლამო ბანერის განთავსებასთან დაკავშირებით... მსგავსი ფორმით სარეკლამო ბანერი საქართველოში ერთადერთია და არ აქვს ანალოგი, ბანერი შინაარსობრივად და ფორმითაც ორიგინალურია, რაც, თავისთავად, ხაშურის გეოგრაფიული მდებარეობიდანაცაა გამომდინარე.

- *ბატონო ლევან, ხომ არ არის დაგეგმილი ხაშურის საიმიჯო მსგავსი პროექტების განხორციელება მომავალშიც?*

- იდეის დონეზე მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა პროექტებზე, მაგრამ ეს სამომავლოდ და ვისაუბრეთ მაშინ, როდესაც განვახორციელებთ, რა თქმა უნდა, პროექტები დაიგეგმება ხაშურის საჭიროებებიდან გამომდინარე...

თ. ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება როგორც მოგეხსენებათ, მუშაობს ინფრასტრუქტრული პროექტების შემუშავებაზე და ახორციელებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის ზედამხედველობას. განყოფილებაში დასაქმებულია 9 მოსამსახურე, მათ შორის 2 შტატგარეშე მოსამსახურე.

2021 წელს განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები :

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის N885 განკარგულების („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020წ. 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“) საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს - 9 პროექტის განხორციელება, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 6 589 798 ლარს.

1. სოფელ დუმაცხოვში მისასვლელი გზის მოასფალტება - 535 138 (დასრულებული);

2. სოფელ ქინძათში გზის მოასფალტება - 815 000 (დასრულებული);

3. სოფელ სავანისუბნამდე მისასვლელი გზის მოასფალტება - 674 230 (დასრულებული);

4. სოფელ ნაბახტევში გზის მოასფალტება - 1 184 739 (60% შესრულება);

5. სოფელ რუსაანთუბნამდე ბეტონის გზის დაგება - 818 384 (დასრულებული);

6. სოფელ მონასტერში ბეტონის გზის დაგება - 559 535 (40% შესრულება)

7. სოფ. ვაყის ხიდიდან სოფ. ტკოცამდე გზის მოასფალტება - 965 505 (დასრულებაული);

8. დაბა სურამში მდ. სურამულაზე მარჯვენა ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობა - 464 000 (დასრულებული);

9. ორანქედის მონასტერში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (სოფელი კრისხევი) – 573 267 (დასრულება);

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 45 პროექტის დაფინანსება, რომელთა ღირებულება ამ ეტაპზე შეადგენს 7 203 617.39 ლარს

1. დაბა სურამში, მათიაშვილის ქუჩის მოასფალტება - 234 900 ლ. (დასრულდა);
2. დაბა სურამში, თაყაიშვილის ქუჩის მოასფალტება - 187 650 ლ. (დასრულდა);
3. დაბა სურამში, ამაღლების ქუჩის მოასფალტება - 155 377ლ. (დასრულდა;)
4. დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტება - 187 563 ლ. (დასრულდა);
5. სოფელ ტაშისკრიდან სოფელ ქვიშხეთამდე გზის მოასფალტება - 1 099 695 (დასრულდა;)
6. ქ. ხაშურში იმერეთის ქუჩაზე მინი სტადიონის მშენებლობა - 99 940 (დასრულდა);
7. სოფელ წრომში, მინი სტადიონის მშენებლობის გაგრძელება - 55 122 ლ. (დასრულდა);
8. სოფელ დიდ ბეკამში, მინი სტადიონის მშენებლობის გაგრძელება - 53 990ლ. (დასრულდა);
9. სოფელ დიდ ფლევში, წყლის ჭაბურღილის მოწყობა - 526 000 ლ. (მიმდინარე, შესრულება 90%);
10. ქ. ხაშურში, კულტურის სახლის სცენისა და დარბაზის რეაბილიტაცია - 904 289 ლ. (მიმდინარე, შესრულება 50%);
11. ქ.ხაშურში, ცხვირაშვილის ქ. N11-ში (74 760 ლ.), რუსთაველის ქუჩა N16-ში (70 726 ლ.) და ბორჯომის ქუჩა N58-ში (62 452.27 ლ.) მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების რეაბილიტაცია (დასრულდა);
12. დაბა სურამში, მდინარე სურამულაზე ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობა რეაბილიტაცია - 235 000 ლ. (დასრულდა);
13. სოფელ ალში, სანიაღვრე არხის მოწყობა - 35 699.01 ლ. (დასრულდა);
14. ქ.ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე სკვერის და გარე ტრენაჟორების მოწყობა - 40 000 ლ. (დასრულდა);
15. ქ.ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე კულტურის სახლის მიმდებარედ გარე ტრენაჟორების მოწყობა - 25 000 ლ. (დასრულდა);
16. სოფელ ბეკამში, სანიაღვრე არხის მოწყობა - 30 000 ლ. (მიმდინარეობს პროექტირება);
17. სოფელ ოძისში და სოფელ ცივწყაროში (4*2 მ) ზომის ორის მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები - 16 153.2 ლ (დასრულდა);
18. სოფელ ბრილში, ხიდის მოწყობა - 35 606.5 ლ (დასრულდა;)
19. სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე გზის მოასფალტება 441 000 ლ. (მიმდინარე);
20. ქ. ხაშურში წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია - 566 698 ლ (მიმდინარე);
21. ქალაქ ხაშურში, ჯანდაცვის ცენტრისა და ჰემოდიალიზის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 36 069 ლ. (დასრულდა);
22. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორმოულის სამუშაოები - 98 500 ლ. (დასრულდა);
23. ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლებაში ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 39 670.42 ლ. (დასრულდა);
24. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში (მჭედლიშვილების უბანში) გზის დამცავი ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის და მისასვლელი გზის კეთილმოწყობა - 148 445.57 (მიმდინარე);
25. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობის შესყიდვა-მონტაჟი - 43 946.09 ლ. (დასრულდა);
26. ქალაქ ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე საჩრდილობელი ფანჩატურის და ტრენაჟორების მოწყობა - 23 755.76 ლ. (დასრულდა);
27. ქალაქ ხაშურში, ე.წ. „ემტეესის“ დასახლებაში და გაგარინის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - 41 984.4 (მიმდინარე);
28. ქალაქ ხაშურში, ჭალისუბნის დასახლებაში (ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე) საბავშვო ატრაქცონების მოწყობა - 20 780.98 ლ. (დასრულდა);
29. სოფელ ალში, მინისტადიონის (26*16მ) მოწყობა- 82 122.1 (დასრულდა);
30. სოფელ ვაყაშ,ი სანიაღვრე არხის მოწყობა - 62 276.86 ლ. (მიმდიანრე);
31. ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე და ე.წ. „ქიმერიძეების უბანში“ საჩრდილობელი ფანჩატურის და ტრენაჟორების მოწყობა- 51 318.2 ლ. (დასრულდა);
32. ქალაქ ხაშურში, ე.წ. „შინდარის“ დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - 20 758.56 ლ. (დასრულდა);
33. ქალაქ ხაშურში შუშის ქარხნის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - 20 903.7 ლ (მიმდინარე);
34. დაბა სურამში, მდინარე ბიჯნისულას (მდინარე სურამულას შესართავთან) მარჯვენა ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაციის და ფსკერის ფილის მოწყობა - 44 954.46ლ (დასრულდა);
35. დაბა სურამის N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 69 512.62 ლ. (დასრულდა)
36. სოფელ კლდისწყაროს სპორტდარბაზის რეაბილიტაცია - 41 890 ((დასრულდა);
37. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვა - 278 617 ლ. (დასრულდა);
38. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბეტონის გზების დაგება - 178 977.57 (დასრულდა);
39. დაბა სურამში (პარკის უკან), მდინარე სურამულაზე, მარჯვენა ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობა 464 000 ლ. (დასრულდა);
40. სოფელ ქვემო ბროლოსნის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია -12 278.2 ლ. (დასრულდა);
41. დაბა სურამში, აღმაშენებლის ქუჩის N8-ის და წმ. მარიამის ქუჩის N13-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა - 209 996.43 (მიმდინარე);
42. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყაში გზის რეაბილიტია - 349 000ლ. (დასრულდა);
43. ქალაქ ხაშურში თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია - 44 576.44 (დასრულდა);
44. ქალაქ ხაშურში იმერეთის ქუჩის მიმდებარედ მინი სტადიონის (26*16მ) და ატრაქციონების მოწყობა - 99 940ლ (დასრულდა);
45. სოფელ წრომში მინი სტადიონის (26*16 მ, მეორე ეტაპი) მოწყობა 55 122ლ. (დასრულდა).

სოფლის მხარდაჭერის პოგრამის ფარგლებში დაფინანსებულია - 79 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენსს 904 000 ლარს. (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის №168 განკარგულება).

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს 1 პროექტი - ქ. ხაშურში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 6 500 000 ლარს, თანადაფინანსება 1 196 172 ლარი. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2022 წელს.

ასევე მიმდინარეობს :

1. ქ. ხაშურში პროფსასწავლებლის მშენებლობა - 9 835 935 ლარი;
2. ქ. ხაშურში იუსტიციის სახლის მშენებლობა 4 300 000 ლარი;
3. სოფელ ქემფერის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 1 792 000 ლ;
4. სოფელ ქინძათის 150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა - 2 411 228 ლ.

გიორგი პაპიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

<u>- სპეციალისტი გვირჩევს -</u>

ფუტკრის საკვებად ინვერსიული სიროფის გამოყენება

ზამთარში უკვე ორი წელიწადია ფუტკრის ოჯახის გამოსაკვებად საჭიროების შემთხვევაში ინვერსიულ სიროფს ვხმარობ.

ინვერსიული სიროფი მიიღება შაქარის სიროფზე ინვერტაზას დამატებით, როგორიცაა ლიმონმჟავა, თაფლი და ა.შ. დამატების პროცესში შაქრის სიროფში ხდება ჰიდროლიზის რეაქცია– შაქრის სახაროზა იშლება გლუკოზად და ფრუქტოზად. პროცესი მიდის რამოდენიმე საათიდან, რამდენიმე დღემდე, მიღებული სიროფი იზომება ხელსაწყოთი, რომელსაც პოლიმეტრი ჰქვია. ფუტკრის ოჯახზე სიროფის რაოდენობა თვითონ ფუტკრის ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარეა.

ინვერსიული სიროფის მომზადების ბევრნაირი წესი არის ლიტერატურაში მითითებული, მე გთავაზობთ ჩემს მიერ აღებულ და უკვე გამოცდილ პროპორციებს(ჩემი აზრით, დასამზადებლად ადვილია და ეკონომიური. ინფორმაციისათვის ჩემი საფუტკრეები განლაგებულია ზღვის დონიდან 800–დან

(დასასრული V გვერდზე)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43. #1.2022 წ)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მიტინგზე შემდეგი შინაარსის რეზოლუცია იქნა მიღებული: „ყრილობა სალამს უძღვნის ამიერკავკასიის სეიმს, რომელმაც ამიერკავკასიის დასაცველად, როგორც ოსმალეთის იმპერიალისზმისგან, ისე დამარღვეველ ანარქიისაგან, რომელიც ჩრდილოეთიდან მოიწევს ბოლშევიზმის სახით, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამასთანავე, საბჭოთა ცენტრი მოუწოდებს მთელ ამიერკავკასიის დემოკრატიას ბრძოლის უნარისა და დისციპლინის მქონე ჯარის შექმნით დადგეს დარაჯად ამიერკავკასიის ნამდვილ დამოუკიდებლობისა და რევოლუციის ძლევამოსილებისათვის“

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ, 1918 წლის მარტ-აპრილში, თურქებმა ფართო შეტევითი ოპერაციები განახორციელა კავკასიის ფრონტის ხაზზე. დაიკავეს ყარსის ოლქი, ერევნის გუბერნიის დიდი ნაწილი, ბათუმის ოლქი, ოზურგეთის და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ნაწილი.

ხალხი აღსდგა დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობის მაორგანიზებელი როლი არ ჩანდა. ხაშურსა და მის რაიონში ნებაყოფლობით დგებოდა ყოფილი ჯარისკაცებისგან რაზმები, რომლებიც ახალციხის მხარეში მიემგზავრებოდნენ ქვეყნის დასაცავად. თუმცა ამ რაზმების შექმნაც გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

4 მაისს გაიმართა ხაშურის წითელგვარდიელთა კრება, რომელზეც განიხილეს ბორჯომ-აწყურისა და ახალციხის რეგიონებში შექმნილი მდგომარეობა. დაისვა საკითხი გვარდიელების მობილიზაციის შესახებ, რადგან ბორჯომის მხრიდან გარკვეული საშიშროება იქმნებოდა ახალციხე-ახალქალაქში მცხოვრები „შინაური თათრების ბრბოების მიერ“ ამავე კრებაზე აირჩიეს სამობილიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა „სოფლად იარაღიანი სალდათების შეკრება“.

კომისიამ დიდი მუშაობა გასწია ხაშურის, სურამისა და გომის რაიონებში ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების მობილიზაციის თვალსაზრისით. სოფლებში კომისიის წევრებს უხდებოდათ ყოფილ ჯარისკაცებში ბოლშევიკების გავლენის დაძლევა. მაგალითად, სოფელ ალში, მილიციონერების დახმარებით, შეკრიბეს იარაღის მქონე ყოფილი ჯარისკაცები, რომლებიც გავლენით სარგებლობდნენ ალის საზოგადოებაში და დიდი ძალისხმევა დასჭირდათ დაერწმუნებინათ ისინი „ბოლშევიკების ტაქტიკის სასტიკ შეცდომაში“ და მხოლდო ამის შემდეგ განაცხადეს: „მართალია, ფრონტი რომ არ მიგვეტოვებინა დიდი ხნიდან ადრე იქნებოდა ზავი ჩამოგდებულიო“536

ამავე დროს, თითქმის ყველა სოფელში, სადაც არ მივიდნენ კომისიის წევრები, ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ „...ფრონტის გამიშველება, ეს უმთავრესად ბოლშევიკების აგიტაციის წყალობით მოხდა“-ო.

ზოგიერთ სოფელში მოსახლეობის ზოგიერთი წარმომადგენელი არ ერიდებოდა კომისიასთან საჯაროდ დაეფიქსირებინა ბოლშევიკების გავლენა. სოფელ ავლევში კომისიის წევრებს განუცხადეს: „ჩვენ „ბალშევიკები“ რომ ვართ ვერ გაიგეთ? არ ვემორჩილებით თქვენს მთავრობასო“.

სოფელ კრისხევში, „მდგომარეობის გაცნობისთანავე“, ყველამ სურვილი გამოთქვა - „ჩვენც თქვენთან ვართ, ნუ გეშინიათო“, „ვიღაც კოსტა გარსანაშვილმა დაიწყო ბოლშევიკების მართლება და ამიერკავკასიის მთავრობის ლანძღვა, მაგრამ თვით ხალხმა შეაჩერა, „დღეს მაგის დრო არა გვაქვს, მტერი კარზეა მომდგარი, ყველა უნდა გავიდეთო“

9 მაისს, სამობილიზაციო კომისიის წევრები ხაშურში შეიკრიბნენ. ამავე დღეს უნდა მომხდარიყო სოფლებიდან ყოფილი ჯარისკაცების ჩამოსვლა ხაშურში, მაგრამ არავინ გამოცხადდა. „თუ საჭიროა, მთავრობამ გამოგზავნოს ძალა და ისე წაგვიყვანოს თორემ ნებით არავის არ უნდა სიკვდილიო“ - აცხადებდნენ ისინი.

10 მაისს მხოლოდ ქვიშხეთიდან გამოცხადდა 80 შეაიარაღებული კაცი ხაშურში. ამავე დღეს ვაყიდან და აზარმელიდან მოვიდა შეიარაღებული 40 ჯარისკაცი ვაყელები და აზარმელები „...ისე მხიარულად მიდიოდენ ბრძოლის ველზე, გეგონებოდათ საქეიფოდ მიდიანო და ლაჩარსაც კი საბრძოლველად აუტოკებდა გულს მათი შეხედულება-გამომეტყველება და სიმკვირცხლე. აზარმელებს ხუთი დღის საგზალიც თან მიქონდათ. ეს ჩვენ არ ვიცოდით და როდესაც სადილზე მივიწოდეთ გვიპასუხეს: გმადლობთ, მხოლოდ ჩვენ ბრძოლის ველისკენ გაგვიშვით და ის იქნება ჩვენი სადილობაო“.

ამიერკავკასიის მთავრობის მოლაპარაკება თურქეთთან საზავო პირობების შესახებ თანდათან ჩიხში შედიოდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის სუბიექტებს შორისაც არ იყო მტკიცე ერთიანობა, რაც გაველენას ახდენდა მოლაპარაკების მიმდინარეობაზე. ამის ფონზე საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარება თანდათან რთულდებოდა. ქართველი ხალხი კარგად გრძნობდა, რომ თურქეთთან ომის განახლება დაღუპვის ტოლფასი იყო. ერთად-ერთ გამოსავლად რჩებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამას უკვე კარგად გრძნობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა უმეტესობა, რადგან შექმნილ მძიმე შიდა თუ საერთაშორისო მდგომარეობიდან დამოუკიდებელი საქართველო უფრო უკეთ შეძლებდა გამოსავლის პოვნას.

1918 წლის 25 მაისი განსაკუთრებული პოლიტიკური დაძაბულობით გამოირჩეოდა. ამ დღეს დებატები მიდინარეობდა, როგორც ამიერკავკასიის სეიმში, ისე საქართველოს ეროვნულ საბჭოშიც. სეიმის პოლიტიკურმა ფრაქციებმა ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა, რასაც მეორე დღეს, 26 მაისს, 11 საათზე შედეგად მოჰყვა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და სეიმის თვითლიკვიდაცია.

საქართველოს ისტორიაში ახალი ფურცელი იშლებოდა, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა ქართველი ერი.

ხაშური საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918 წლის მაისი - 1921 წლის თებერვალი)

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ, იმავე დღის ხუთ საათსა და ათ წუთზე, საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით, ნ. ჟორდანიამ მთავრობის სასახლეში ქართველი საზოგადოებისა და უცხოელი სტუმრების წინაშე წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ქართველი ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს. მისი 117 წლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენით დამთავრდა.

რუბენ ყიფიანი, ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, ვლასა მგელაძის შესახებ შემდეგ გაიხსენებს: „26 მაისს, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დრეს ვლასა მიიმალა და აღარ სჩანდა. ვნახე მხოლოდ გვიან, ნაშუადღევს. ჩემ შეკითხვაზე, თუ სად იყო, მიპასუხა:

-მამადავითის ეკლესიაზე ზარს ვრეკავდი: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს თავისუფლება მივულოცე...“

ქართველმა ინტელიგენციამ ილიას, აკაკის და დიმიტრის ნაოცნებარის ხორცშესხმად ჩათვალა 26 მაისი. საქართველოს მშრომელმა მასებმა-მუშებმაც და გლეხებმაც, ასე მიიჩნიეს ეს უდიდესი მოვლენა ერის ცხოვრებაში.

ქართველი ხალხის სიხარულს თანაბრად იზიარებდნენ ხაშურელებიც, მისი რეგიონის მცხოვრებლები...

1984 წლის 6 აგვისტოს, როცა სოფელ აძვისის ღვთისმშობლის ეკლესიის აღწერილობის სამუშაოებს მოვრჩით, მის ირგვლივ მდებარე სასაფლაოს დათვალიერებისას ყურადღება მიიქცია ერთმა საფლავმა.

საფლავის ქვაზე, ჩრდილოეთ მხარეს ჩასმულ თეთრ მარმარილოზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობდა:

„მონობაში ტანჯულო, დაუვიწყარო მამავ! შენი ნატვრა ასრულდა – საქართველო განთავისუფლდა“

საქართველო განთავისუფლდა, რაღაც საოცარმა გრძნობამ დამიარა მთელ სხეულში.

ვინ განისვენებს ამ საფლავში, რომ ღირსეული მამის ღირსეული შვილები გარდაცვლილი მამის საფლავს ასე მრავლისმეტყველ წარწერით ამკობენ.

საფლავის ქვის აღმოსავლეთ მხარეს ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს:

„დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძე, დაიბადა 1846 წლის აპრილის 25-ს. გარდაიცვალა 1918 წლის 25 მაისს“

ყველაფერი ნათელია. გარდაცვალების თარიღს სიცხადე შეაქვს მარმარილოს დაფაზე გაეკეთებინათ წარწერის შინაარსი:

26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

დავით კაპანაძე ამ ქვეყნიდან ერთი დღით ადრე 25 მაისს გავიდა და ვერ დაესწრო თავისი დიდი ხნის ნატვრის ასრულებას, ენახა თავისუფალი დამოუკიდებელისამშობლო.

„შენი ნატვრა აღსრულდა – საქართველო განთავისუფლდა“.

საოცარი განცდა გეუფლება, როცა ამ წარწერას კითხულობ. როგორ ძლიერი უნდა ყოფილიყო დავით კაპანაძეში სამშობლოს დამოუკიდებლობის სურვილი, რომ შვილებს მის საფლავზე ასეთი შინაარსის წარწერა გაეკეთებინათ. ალბათ იშვიათად მოიძებნება იმ წლების შესახებ, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, ასეთი მრავლისმეტყველი ძეგლი.

ეს დიდი, მრავლისმეტყველი წარწერაა გლეხი კაცის საფლავზე გაკეთებული, რომელშიც მთელი ერის 117 წლიანი ნატვრაა გაცხადებული.

აძვისელი გლეხკაცის ეს საფლავი კარგად მეტყველებს ერის საერთო განწყობაზე.

პირველ ივნისს, სურამის ქალაქის საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით დაადგინა: „საბჭო აღფრთოვანებულია ამ დიადი აქტით, მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას ამ დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

საბჭომ მის თავმჯდომარეს ს. მამალაძეს დაავალა ეს დადგენილება დეპეშით ეცნობებინა მთავრობისთვის დეპეშა გამოქვეყნდა გაზეთ “ერთობაში”. ჩვენს ყურადღებას იქცევს რედაქციის მინაწერი: „ეს პირველი დეპეშაა, რომელიც ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქართულად დაწერილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ“.

მეორე დღეს, 2 ივნისს, ისევ სურამში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გაიმართა მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია მიტინგით.

ცნობილმა რევოლუციონერმა მწერალმა დავით სულაშვილმა მიტინგზე წაიკითხა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი და საზოგადოებას გააცნო თუ რა პირობებში მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

შეკრებილ ქართველ საზოგადოებას ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მიულოცეს ადგილობრივი სომხებისა და ებრაელების წარმომადგენლებმა. ხაშურისა და სურამის სცენის ცნობილმა მოღვაწემ ვანო მურვანიშვილმა ეროვნული დროშით ხელში მიმართა ხალხს და მოუწოდა საქმიანობსიკენ, რათა „ეს ეროვნული დროშა არ დავკარგოთ ისე, როგორც დავკარგეთ მრავალი რამ ჩვენი გაუნათლებლობისა და ჩვენი უსაქმურობითაო“, თანაც მოუწოდა ხალხს საქართველოს თავდაცვისაკენ.

„მისმა სიტყვამ ისე იმოქმედა ხალხზე, რომ ბევრმა კიდევაც წაიცრემლა“ აღნიშნავს გაზეთი „საქართველო“.

მაგრამ იყო მცირე ნაწილი, რომელმაც არ მიიღო 26 მაისი, ღალატის გზას დაადგა და ერის ნების წინააღმდეგ წავიდა. ამაზე მეტყველებს ისევ სურამთან დაკავშირებული შემთხვევა, რომელსაც იმავე 1918 წლის 2 ივნისს ჰქონდა ადგილი. ბოლშევიკი კოტე ლომიძე გვიან იგონებდა:

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

„იყო ასეთი შემთხვევა: მენშვიკები 1918 წლის 26 მაისს მიტინგს მართავდნენ. არსენა ლომიძემ თავისი თანამონაწილეების პეტრე სამხარაძის, ვ. ლაბაძის, შ. ლომიძის და სხვათა და სხვათა დახმარებით ეს მიტინგი ჩაიშალა. ამით მენშევიკთა ხელმძღვანელებს ვასო მეტრეველს, მამალაძეს, სოლომონ ჯობაძეს, წუწუნავას, ხიდირბეგიშვილს, რომელიც მაშინ ქალაქის თავი იყო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“.

შესაძლებელია კ. ლომიძეს, როცა ამას წერდა, ბევრი რამ აღარ ახსოვდა, რადგან გაზეთ „საქართველოდან“ მოტანილ ცნობაში, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. თუ არა და გაზეთ „საქართველოს“ ინფორმაციაც და კ. ლომიძის მოგონებაც ერთსადაიმავე ფაქტზე უნდა მიგვანიშნებდნენ.

1918 წლის ზაფხულში ხაშურში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო სურსათის ნაკლებობამ, რამაც გამოიწვია მასზე ფასების განუხრელი ზრდა. ეს უფრო მეტად აისახა პურის ფასზე, რადგან ქალაქში ხშირად არ იყო ფქვილი. „არსად ასე მწვავე ხასიათი არ მიუღია სანოვაგის გაძვირებას, როგორც ხაშურში. აქ არ არსებობს არავითარი ვაჭრობის წესი, ძლიერ გამწვავებული არის პურის საკითხი. აქ სოფლიდან ჩამოაქვთ პური და ნახევარ გირვანქიან პურს ჰყიდიან ოთხ-ხუთ მანეთად და იმასაც ფარულად. ამიტომ დიდ გაჭირვებას განიცდის ყველა, ვისაც საკუთარი პური არ აქვს. აქ ყველაზე მეტს გაჭირვებას განიცდიან რკინისგზის მოსამსახურეების ის ნაწილი, რომლებიც არ არიან ადგილობრივი მცხოვრებნი. მოსამსახურეებს ჯამაგირებიც არ მიუღიათ. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აუარესებს მათ მდგომარეობას. თუმცა აქ არსებობს რკინის გზის სასურსათო განყოფილება და ნახევარ გირვანქა პურს აძლევენ სულზე, მაგრამ ნახევარი მაინც უპუროდ რჩებოდა. ოთხ ამ თვიდან (ივლისის – თ.ლ.) თერთმეტამდე პური არ გამოუცხვიათ, მიზეზი ფქვილის უქონლობა არის. ამიტომ კარგი იქნება ამხანაგები მიაქცევდენ ყურადღებას და სანამ მთლად არ გამოილევა ფქვილი, მანამდის შეიძენდენ და უზრუნველყოფდენ ამხანაგებს იმ ნახევარი გირვანქით მაინც“.

შექმნილ ვითარებას, ქვეყნის საწინააღმდეგოდ, კარგად იყენებდნენ პროვოკატორები, რომელთა ჩაგონებითაც, როგორც ამას გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავს სოფლელები „სიძვირის მიზეზათ“ რკინიგზელებს მიიჩნევდნენ: „თქვენი ბრალია, თქვენ ბურჟუას იცავთო“ გაზეთი იქვე დასძენს, რომ ამით დაუმსახურებელ ბრალდებას უყენებდნენ რკინიგზელებს, რადგან სწორედ მათ კისერზე „გადაიარა ომმა, ანარქიამ და თვით რევოლუციამ“.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ხაშურში პოლიტიკური ფონის გაუარესება არ მომხდარა და საზოგადოება გაგებით მოეკიდა შექმნილ მდგომაერობას.

ამ მხრივ მდგომარეობა არც მომდევნო წლებში შეცვლილა, ყოველთვის მწვავედ იდგა სურსათით ქალაქის უზრუნველყოფა. მდგომარეობას უფრო მეტად ართულებდა გავრცელებული სპეკულაციაც.

1919 წელს რკინიგზის ადგილობრიი სახელოსნოს (დეპოს) მუშების „მონდობილობით“ გვრიტიძე წერდა:

„არსებობისათვის ზედმეტი შრომის გაწევა, რაზედაც გვაიძულებს დღევანდელი სიძვირე, რომ არ გვინდებოდეს, ჩვენ რვა საათის სამუშაო დროით ძალიან ვისარგებლებდით, მაგრამ სულის შემხუთველი სპეკულაცია ლამის გაქრობას გვიქადის, რომ ამის შესახებ არ იქმნეს მიღებული სასტიკი და დაუნდობელი ზომები“.

მას მოჰყავს ასეთი შემთხვევა: „მუშებმა ამოვირჩიეთ ჩვენ შორის ცნობილი ორი ამხანაგი ვ. ლ-ვა და გ. ღ-შვილი, რომელთაც მივეცით „ნარიადი“ და დავავალეთ ჩვენთვის სიმინდის შეძენა. მათ ჩვენი დავალება ბოროტად გამოიყენეს და ჩვენ მაგიერ ის სპეკულიანტებს გადასცეს ჯეროვან ჯილდოს მიღებით. ამან გამოიწვია მუშათა შორის დიდი გულისწყრომა და დაადგინეს დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნენ ეს პირნი სამსახურიდან და მიეცენ პასუხისგებაში“.

1918 წელს, ხაშური, სურამთან ერთად, გაერთიანდა ამიერკავკასიის ქალაქთა კავშირში. იმავე წლის 7 სექტემბერს, ამიერკავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე, ხაშურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ქალაქს სულ ოთხი მილიციონერი და ერთი კომისარი ყავს. წესრიგის დაცვაში იღებს მონაწილეობას აგრეთვე სახალხო გვარდია“. მომხსენებელი აუცილებელ საჭიროებად თვლიდა რკინიგზის სადგურიდან ქალაქში გაყვანილი ყოფილიყო ელექტრო განათება, აგრეთვე წყალსადენი და სხვა.

1918 წლის 9 დეკემბერს, სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები და ბორჩალოს მაზრაში დაიწყეს საომარი მოქმედება. ომის პირველსავე დღეებში, ხაშურელი გვარდიელები, სამტრედიის სახალხო გვარდიის ქვედანაყოფთან ერთად, ჩაებნენ საომარ ოპერაციებში.

ხაშურისა და სურამის საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ომის დაწყებამ. ამის დასტურია სახელდახელოდ გამართული კრებები და მიღებული რეზოლუციები, რომლებშიც დაგმობილია სომხეთის რესპუბლიკის მიერ დაწყებული ავანტურა.

ხაშურის ქალაქის საბჭოს, ერობის ხმოსნების, პარტიების, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების გაერთიანებულ კრება „აღშფოთებასა და ზიზღს“ გამოსთქვამდა „სომხეთის მოღალატურ თავდასხმის წინააღმდეგ“

„კრება – აღნიშნულია რეზოლუციაში – მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მთავრობას და ფიცს სდებს ყოველნაირ ღონისძიებით ხელი შეუწყოს მას, სახელოვან გვარდიას და ჯარს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში”.

სურამის საქალაქო საბჭოს საგანგებო კრებამ დაგმო სომხების მოქმედება და შემდეგი შინაარსის რეზოლუცია მიიღო:

„თვითმართველობა სასტიკ პროტესტს უცხადებს სომხის მთავრობას, ხოლო ჩვენი მთავრობისგან მოითხოვს მედგარი და ულმობელი ბრძოლა აწარმოოს, როგორც ერევნის ვერაგულ მთავრობის, ისე მისი მომაკვდინებელი დაშნაცკების პარტიის მიმართ საქართველოში, რათა ამ პარტიის დამღუპველ მოღვაწეობას არ ჰქონდეს ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში, მთავრობას კი, რომელმაც ყოველივე საშუალება იხმარა ძმათა შორის სისხლის ღვრის ასაშორებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერას გახდა, თვითმართველობა აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას“.

ხაშურის გვარდიას ბრძოლა მოუხდა შულავერის მისადგომებთან.

1918 წლის 26 დეკემბერს გაზეთი “ერთობა” წერდა: „შულავერის და დაგეტ-ხაჩიანის რაიონში 24 დეკემბრიდან მტერთან ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა“. იგივე შინაარსის ცნობას აქვეყნებს სამხედრო შტაბიც: „შულავერის და დეგეტ-ხაჩენის რაიონში გუშინ დღიდან მტერთან ბრძოლა აქვს ჩვენს ჯარს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა“.

27 დეკემბერს გაზეთი “ერთობა” იუწყებოდა: „25 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფელ დეგეტა-ხაჩიანი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა“.

სამხედრო შტაბის 26 დეკემბრის ცნობიდან: „გუშინ (ე.ი 25 დეკემბერს) ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფელი დეგეტ-ხაჩიანი შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა“.

29 დეკემბერს იგივე გაზეთი აღნიშნავდა: „27 დეკემბერს შულავერის რაიონში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდო მტრის ორი მოქმედი ტყვიის მფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა“.

იგივეს ლაპარაკობს სამხედრო შტაბის ცნობაც.

31 დეკემბერს გაზეთ „ერთობის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება: „ხაშურის ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა დამწუხრებული აუწყებს ამხანაგებს, რომ 26 დეკემბერს სომხებთან შეტაკების დროს შულავერთან გმირულად დაიღუპნენ პარტიული კოლექტივის წევრები: ლეონტი მეტრეველი და ალექსანდრე სირაძე“

გაზეთის ამავე ნომერში „ხაშურის ქალაქის თვითმმართველობა ღრმა მწუხარებით გამოთქვამს საბჭოს ხმოსნების ლეონტი მეტრეველის და ალექსანდრე.

სირაძის უდროოთ დაკარგვის გამო, რომელიც მოხდა 26 დეკემბერს სომხებთან შეტაკების დროს“.

1919 წლის 5 თებერვალს „ერთობა“ აქვეყნებს საქართველოს სდმპ ხაშურის ორგანიზაციის განცხადებას: „სომხებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ გმირი გვარდიელების: ლეონტი მეტრეველის, ალექსანდრე სირაძის, იაშა ცქიტიშვილის, ნიკოლოზ აბაიაძის, სერგო ლომიძის, ვ. ჯანტლიშვილის, ი. მშვიდობაძის, ლადო ჩაფიძის, დარსაველიძის, შერაზადაშვილის, არჩილ ჩუბინიძის, პავლე კურტანიძის, ავალიანის, ტყემალაძის, ივანე წეველიძის, თადეოზ ლომიძის, არჩილ კურტანიძის და სხვა ამხანაგების ორმოცის თავზე ქ. ხაშურში „ძმათა სასაფლაოზე“ (გორათი), ხუთშაბათს 6 თებერვალს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

გაზეთმა „სახალხო საქმემ“, იმავე წლის 10 თებერვალს (?), გამოაქვეყნა დახოცილი სახალხო გვარდიელების და ჯარისკაცების სია, სულ 28 კაცის. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გვარდიელებისა, აქ არის სამტრედიის და ის „სხვა“ გვარდიელებიც, რომლებიც „ზემოთ აღნიშნულ“ განცხადებაში ვერ მოხვდნენ. ესნი არიან კოლა ჯანიაშვილი, სტეფანე სვიმონაიშვილი, ჰასანოვი, ვარლამ ბეროზაშვილი, ნოზაძე, ისიდორე ხუნდაძე, კირილე ტარასის ძე ჰუმერიანი. იქვეა მითითებული, რომ „რვა ცხედრი ვერ იცნეს. ესენი უმრავლესობა სახალხო გვარდიელებია ხაშურიდან“.

რა მოხდა 26 დეკემბერს, რაზეც გაზეთი „ერთობა“ სოციალ-დემოკრატების ორგანო არ ლაპარაკობს? და რაზეც მოგვიანებით იტყვის ქართველ ესერთა გაზეთი „სახალხო საქმე“?

სახალხო გვარდიის ქვედანაყოფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი ქრისტეფორე ჩხეტიანი, ფრონტის ხელმძღვანელობისგან მიიღო დავალება 25 დეკემბერს დაეწყო შეტევა მტრის მიერ დაკავებული სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩასაგდებად, რითაც გაიხსნებოდა შულავერის მიმავალი მთავარი გზა და სხვა ქართულ ნაწილებს მიეცემოდათ საშუალება გაეშალათ საბრძოლო მოქმედება შულავერის დასაკავებლად.

„სახალხო გვარდიის“ პირადი შემადგენლობა ბრძოლის ველზე ინდივიდუალური მხედრული. სიმამაცისა და გმირობის მაგალითებს იძლეოდა, მაგრამ მათი მოქმედებები საბრძოლო ორგანიზებულობის მხრივ, როგორც წესი, უსისტემო და არაპროგნოზირებადი იყო, უდისციპლინობა და დაუმორჩილებლობა, თვითნებობა და სტიქიურობა, აი ის მოურჩენელი სენი და ჭირი, რითაც უიმედოდ იყო დაავადებული საქართველოს სახალხო გვარდია“

გენერალი მაზნიაშვილი გვარდიის ამ სენს „შეთვისებულ ჟინიანობას და ავ ზნეს“ უწოდებს და სამწიხაროდ, მართალი იყო იგი,–სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ა. ჩაჩხიანი.

მკვლევარი იქვე მიუთითება, რომ ამ შემთხვევაშიც „სახალხო გვარდიის ნაწილები ნამდვილად არ წარმოადგენდნენ მაღალორგანიზებულ სამხედრო ერთეულებს, რომლებზედაც შეიძლებოდა ამა თუ იმ კონკრეტული საბრძოლო ამოცანის დაკისრება“.

გ. კვინიტაძე იგონებს: „25-ში ჩხეტიანმა შემოუარა სომხების ფლანგს და შულავერის თავზე აიღო უმნიშვნელოვანესი მაღლობები... აღებული მაღლობები გენერალ ჩხეტიანის სამტრედიის გვარდიამ დატოვა ღამით... 26-ში გვარდიამ ისევ აიღო მაღლობები და 2 ტყვიამფრქვევიც მოიპოვა, მაგრამ ღამით ისევ დატოვა პოზიციები“.

მკვლევარი არჩილ ჩაჩხიანი ამასთან დაკავშირებით წერს: „სამტრედიის გვარდიის მიერ შულავერის გაბატონებული სტრატეგიული სიმაღლეების აღება მართლაც ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლო საბრძოლო ამოცანა იყო, რაც გვარდიელების მიერ დიდი წარმატებით იქნა გადაწყვეტილი პირველი შეტევის შემდეგ, მაგრამ გამაოგნებელია ის მიზეზები, რის გამოც მძიმე ბრძოლებით აღებული მაღლობები მათ მიერ ღამის დადგომასთან ერთად იქნა დატოვებული, რომელიც იქვე იქნა სომხების მიერ დაკავებული.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ფუტკრის საკვებად ინვერსიული სიროფის გამოყენება

(დასასრული)

1100მეტრამდე).

ინვერსიული სიროფის შემადგენლობა ზამთრის პირობებში:

წყალი-100%, შაქარი-200%, ლიმონმჟავა-0,2%, თაფლი 5%.

მაგალითად: 10 ლიტრ წყალში იხსნება 20 კილოგრამი შაქარი, 20 მილიგრამი ლიმონჟავა და 0,5 კილოგრამი თაფლი.(შეგიძლიათ მარტო თაფლი იხმაროთ, კონკრეტულ შემთხვევაში 2 კილოგრამი.)

მომზადების პროცესი:

ადუღებულ წყალში იხსნება შესაბამისი რაოდენობის შაქარი, მთლიანად გახნის შემდგომ, ემატება მცირე რაოდენობის ადუღებულ წყალში გახსნილი ლიმონმჟავა და ბოლოს, თაფლი. მიღებული სიროფი ოთახის ტემპერატურაზე(20–25 გრადუსი) ჩერდება 3 დღე და ხდება მისი ინტენსიური შერევა(დღეში 3–ჯერ).

ფუტკრის ოჯახზე მიწოდების წესი:

ფუტკარის ოჯახს ინვერსიულ სიროფს პლასმასის ბოთლებით ვაძლევ, რომელსაც სადგისით მხოლოდ ერთ ადგილას ვხვრეტ. ბოთლს ვათავსებთ ნახვრეტით გუნდის თავზე(ნახვრეტი აუცილებლად ჩარჩოებს შორის უნდა მოხვდეს).

იანვარის თვეში, საკვების მიცემას ვახდენ ერჯერადად 600 მილიგრამის რაოდენობით, დაახლოებით 10–15 იანვრამდე(ფუტკარის გუნდი ჩარჩოს მაღლა თამასაზე უნდა იყოს ამოსული არმისული შუა ჩარჩომდე. ზამთრის პერიოდში მთავარია ფუტკრის გუნდი ჩვენს რეგიონში არასაკმარისი ან უხარისხო საკვების გამო, საფრენის მოპირდაპირე კედლამდე არ უნდა მივიდეს 10–15 თებერვლამდე).

თებერვლის თვეში, ფუტკრის ოჯახს ინვერსიულ სიროფს 2–ჯერ 600–600 მილიგრამ რაოდენობით ვაწვდი, რაც სრულიად საკმარისია ნებისმიერი ფუტკრის ოჯახისათვის(ცნობისათვის, დეკემბერის ბოლოს და იანვრის დასაწყისში ვაერთიანებ ყველა იმ ფუტკრის ოჯახს, რომლის გუნდიც 4 ჩარჩოს შორის მოექცევა, ამ დროს გაერთიანებას ვახდენ პირდაპირ ჩარჩოების გადატანით, გარემოს ტემპერატურა 0 გრადუსზე დაბალი უნდა იყოს).

უპირატესობები:

1) ფიზიკურ–მექანიკური თვისებებით უახლოვდება თაფლს;

2) ინვენსიური სიროფის გადამუშავებისას ფუტკრები ნაკლებად ცვდებიან;

3)ფუტკრების სიცოცხლის ხანგძლივობა იზრდება, ვიდრე ჩვეულებრივი სეროფის გამოკვებისას;

4) სუსტი ოჯახები ადვილად ითვისებენ;

5) კვების პროცესში არ ხდება ინვენსიური სიროფის დანაკარგი;

6) უხარისხო თაფლის არსებობის შემთხვევაში საუკეთესო საკვებია;

7) ინახება დიდხანს, ბნელ და გრილ ადგილზე.(2 კვირის მანძილზე გამიჩერებია);

8) ინვერსირებული სეროფიდან მიღებული თაფლი არ კრისტალიზდება;

9) ეკონომიურია–თაფლთან შედარებით იაფია;

10) ფუტკრები დაბალ ტემპერატურაზეც კარგად ითვისებენ;

11) მასში მიკროორგანიზმები ძნელად მრავლდებიან–აქვს კონსერვაციის უნარი;

რჩევები

1)არ იხმაროთ ალუმინის ჭურჭელი;

2)მ ომზადებისას ინვერსიული სიროფის დუღილი არ შეიძლება;

3)წყალი რბილი უნდა იყოს–წყაროს წყალი;

4)საჭიროა სისტემატური მორევა;

5)აუცილებელია სისუფთავის დაცვა, რათა არ მოხდეს სიროფის ამჟავება;

6) შეიძლება იხმაროთ დაკრისტალებული თაფლიც. თუ გეეჭვებათ თაფლის ხარისხი, გახსენით 1/1–ზე ადუღებულ წყალში, შემდგომ წამოადუღეთ 1–2 წუთი და მაღლა მიღებული ფენა მოაცალეთ;

7)საკვების მიცემისას, იანვარში და თებერვალში, ფუტკრის ოჯახს ვაფარებ მხოლოდ ცელოფანს.(იანვრამდე არც გადასაფარებელს ვხმაროობ ფუტკრის ოჯახზე

და არც ბალიშს ყველა სკა აღჭურვილია ბადიანი ძირით). ნესტის შემთხვევაში ვახდენ მცირე საჰაეროს დატოვებას საფრენის მოპირდაპირე მხარეს;

8)ბალიში ან ნებისმიერი დასათბუნებელი, ფუტკრის ოჯახს ზემოდან ედება მხოლოდ სუსტი ოჯახის შემთხვევაში;

9)პლასმასის ბოთლებში ჯერ ჩაასხით, ადგილზე კი ნახვრეტი გაუკეთეთ, უკვე არსებულში ჩასხმისას დააკვირდით ნახვრეტი სანთლით არ იყოს შევსებული;

10)ყურადღებით მოეპყარით ინვენსირების პროცესს, თუ პროცესი დასრულებული არ არის სიროფი გაგიფუჭდებათ(როგორც, მაგალითად მურაბა და კომპოტი);

ნებისმიერი შეკითხვისათვის შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ტელეფონზე–555988778.

გია ჯელაძე , მეფუტკრე სპეციალისტი

სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე კონცეფცია - ჰასპი

კვება ადამიანის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

სურსათის უვნებლობის სფეროში, საქართველოს ძირითად კანონს "სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის კოდექსი" წარმოადგენს, რომლის მიზანია, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.

საქართველოს კანონმდებლობა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით, ეტაპობრივად უახლოვდება ევროკავშირის არსებულ რეგულაციებს. დღეისათვის, უვნებელი სურსათის წარმოების ყველაზე ეფექტურ მეთოდად არის მიჩნეული ჰასპის კონცეფცია, რომლის საწარმოში დანერგვა, უზრუნველყოფს უვნებელ სურსათის წარმოებას.

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრებათ სურსათის მწარმოებელ კომპანიებს, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები(მ.შ. სურსათის ეროვნული სააგენტო)უფლებამოსილია აკონტროლონ სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება.

უვნებელი სურსათის მართვის თანამედროვე შისტემა ე.წ ჰასპი, უკვე დიდი ხანია დანერგილი აქვთ სასაკლაოებსა და ობიექტებს, ნაღდი რძის თერმულ დამუშავებას ახდენენ, გასული წლიდან კი აღნიშნული მიდგომის დანერგვის ვალდებულება აქვთ მთელ რიგ ობიექტებს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისს №173 დადგენილების თანახმად, ბიზნესოპერატორს, რომელიც ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას(მაგ:ხორცი და ხორცის პროდუქტი, თევზი და თევზის პროდუქტი, თაფლი და ა.შ), ასევე საცალო ვაჭრობის პუნქტში ახორციელებს სურსათის წარმოება/გადამუშავებას, აქვთ უკვე ჰასპის დანერგვის ვალდებულება.

საცალო ვაჭრობის პუნქტი, განმარტების თანახმად, არის ობიექტი, სადაც ხორციელდება სურსათის საბოლოო მომხმარებლისaTვის მიწოდება. მაგ: საზოგადოებრივი კვების ობიექტი, სასადილოები, ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტები, რესტორანი, სუპერმარკეტები და ა.შ.

აღნიშნული სიახლის შესახებ ინფორმირებულები არიან ბიზნესოპერატორები. შეიძლება ითქვას, რომ ნახევარფაბრიკატების საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს ეს ვალდებულება. თუ აქამდე არ იყო გათვალისწინებული ჯარიმა აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობაზე, ახალი წლიდან გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის" შესაბამისად.

რა არის ჰ ა ს პ ი (HACCP)?- ეს არის კრიტიკული საკონტროლო წერტილების მართვის ანუ უვნებელი სურსათის მართვის სისტემა, რაც გულისხმობს, რომ სასურსათო ჯაჭვის ნებისმიერი რგოლი - ფერმერი, მწარმოებელი, დისტრიბუტორი, სავაჭრო თუ საცალო ქსელის ობიექტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინფორმაციას გამოყენებული ნედლეულის, წარმოების ეტაპების შესახებ, რათა ზუსტად დაადგინოს, თუ რა ეტაპზე შეიძლება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული პრობლემა წარმოიშვას, რა სახის შეიძლება იყოს იგი და როგორ შეიძლება ამ საფრთხის თავიდან აცილება. უვნებელი სურსათის წარმოების პირველი წინაპირობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი სანიტარულ მდგომარეობაში შენარჩუნებაა, რაც, თავის მხრივ, ბიზნესოპერატორს გაუადვილებს თანამედროვე სისტემის დანერგვას.

აღნიშნულთან დაკავშირებით აქტიურად ვთანამშრომლობთ ბიზნესოპერატორებთან და მზაობას გამოვთქვავთ ნებისმიერ საკითხზე კონსულტაციისათვის.

ხათუნა ქიტიაშვილი,
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის
რეგიონული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი

პატარა მხატვარი - დიდი მომავლით

გამარჯობა, მე ვარ საბა ღონღაძე, 9 წლის, თვითნასწავლი მხატვარი-ასე გამეცნო და ასე დაიწყო ჩემი პირველი შეხვედრა და კომუნიკაცია გონიერთვალება ბიჭთან, რომელიც აღმოჩნდა, რომ სამყაროს ისეთი ფერებით ხატავს, როგორიც მას წარმოუდგენია, ბავშვურად ფერადი, კეთილი და ხალასი. დიდი მხატვარივით საუბრობს, როგორც ინსპირაციაზე, ტექნიკებზე, მომავალზეც. საბას ნახატებმა, საახალწლო გამოფენაზე მიიქცია ჩვენი ყურადღება, განსაკუთრებული დამოკიდებულება იგრძნობოდა ფერების, ფორმების მიმართ. ახლა ხატვის მასწავლებელთან დადის, პროფესიულად ემზადება დიდი მიზნებისთვის და თავისი ნიჭიერების ღრმად სწამს.

–თვითნასწავლი მხატვარი ვარ, როგორც ჩემი მშობლები მეუბნებიან, სამი წლიდან ვხატავ, პირველი ნახატია კაცუნა, რომელიც ფლომასტერით შევასრულე და ჩემს ოჯახში დღემდე ინახება. ხატვა არ შემიწყვეტია არც საბავშვო ბაღში, მასწავლებელი ძალიან მაქებდა. სკოლაში მისვლის შემდეგ, უკვე ხატვის მასწავლებელთანაც დავიწყე სიარული, რომ უფრო პროფესიონალურად შემესწავლა ხატვა.

- რას ნიშნავს შენთვის ხატვის პროცესი, რა შეგრძნებები გაქვს ამ დროს?

–ხატვის პროცესი ძალიან მომწონს, ყველაზე კარგად ამ დროს ვგრძნობ თავს. როცა ვხატავ, ბუნებაში ვეძებ ფორმებს, რომ ტილოზე გადმოვიტანო. მაგალითად, ღრუბლებში ნიანგი, ვეფხვი და სხვა ცხოველები ვიპოვე. ყველაზე მეტად, ღამე ხატვა მიყვარს, როდესაც მარტო ვჯდები და ფუნჯს ვიღებ ხელში, მშვიდად ვარ და მობილიზებული.

- ტილოზე ხატავ?

–დიახ, ტილოზე ვხატავ. თავიდან ფანქრით ვხატავდი, სკოლაში მისვლის შემდეგ, უკვე საღებავებზე და ტილოზე გადავედი. მეორე წელია, ხატვაზე დავდივარ და ძალიან მომწონს სწავლის და ცოდნის გაღრმავების პროცესი. აკრილით და გუაშით ვხატავ. ყველაზე მეტად ბუნების პეიზაჟების ხატვა მიყვარს, ცხოველების. პორტრეტების ხატვა ჯერ არ დამიწყია, ერთხელ ვცადე, არ მომეწონა ჩემი ნახატი და ვცდილობ, დავიხვეწო.

როგორც ბებია იხსენებს, ტილოზე ხატვა საბასთვის არავის უსწავლებია, თვითონ გადავიდა ტილოზე, ამის მერე გადაწყვიტეს, ბავშვი ხატვის მასწავლებელთან მიეყვანათ. ნათია ხუციშვილი საბას ხატვის მასწავლებელია, საბა მასთან სახლში დადის და დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობით ეკიდება ხატვის შესწავლის პროცესს.

- შენი სივრცე თუ გაქვს, სადაც ხატავ?

–ამ ეტაპზე, ჩემი სამუშაო სივრცე არ მაქვს, სადაც სიმშვიდეა, იქ ვხატავ. ზაფხულში გარეთ ხატვა მიყვარს, უფრო მეტ ფერს და ფორმას ვიღებ.

- გიორგი კეკელიძესთან შენი დამეგობრების ამბავი მოგვიყევი

–როგორც ვიცი, ბებომ გაუგზავნა ჩემი ნახატები ბატონ გიორგის, რომელიც ძალიან დაინტერესდა და გვესტუმრა. დაათვალიერა ჩემი ნახატები, ძალიან მოეწონა და დამპირდა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამიკეთებს ჩემი ნახატების გამოფენას, მქონდა ონლაინ გამოფენა, სადაც ავიღე დიპლომი, მარტში მექნება გამოფენა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში. სადაც 10-მდე ნახატი იქნება წარმოდგენილი.

- ნახატების გაჩუქება და სხვა ადამიანების გახარება თუ გიყვარს?

–რამდენიმე ნახატი გავაჩუქე, რამდენიმე გავყიდე კიდეც. პირველი ნახატი საახალწლო გამოფენაზე გავყიდე 60 ლარად, ამ თანხით ისევ ტილოები და ხატვისთვის სხვა მასალა ვიყიდე.

- როგორც ვიცი, გადაცემის სტუმარიც იყავი და უკვე გიცნობენ, როგორც პატარა, ნიჭიერ მხატვარს.

– 4 დეკემბერს სახლში მესტუმრა გიორგი კეკელიძე საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად, დაათვალიერეს ჩემი ნახატები და სიუჟეტიც გააკეთეს. ძალიან გამახარა მისმა სტუმრობამ და იმან, რომ ჩემით დაინტერესდა.

- ახლა რაზე მუშაობ, რას ხატავს საბა?

–პოეტი და კომპოზიტორი მანანა ვარდოსანიძე, გამოსაცემად ამზადებს საბავშვო მუსიკალურ წიგნს, რომლის ილუსტრაციების ავტორად მე შემარჩია. 10 ლექსია და მის სამხატვრო გაფორმებას მე ვაკეთებ, ჰონორარიც წინასწარ ჩამირიცხეს და ვემზადები ხატვისთვის. უკვე დავხატე რამდენიმე ილუსტრაცია და ძალიან კმაყოფილია ჩემთან თანამშრომლობით.

- სამომავლოდ, რა პროფესიას ირჩევ?

–ექიმი მინდა გამოვიდე და საკუთარი კლინიკა მქონდეს, თავისუფალ დროს კი ჩემს საყვარელ საქმიანობას, ხატვას დავუთმობ.

თ. ჯავახიშვილი

- იუმორი -

კლასიკოსები კოვიდ - 19 -ის შესახებ

გალაკტიონი

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ვბარბაცებ, თითქოს ვარ ნაცემი,
საშველი ერთია, ერთია:
აცრები, აცრები, აცრები!

მურმან ლებანიძე

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი,
ნიშანი არის, რომ გამქრალა ირგვლივ ბაცილა...
დროა, მიბაძონ აქაურებს სხვა ქართველებმაც-
უფლისციხეში ყველა აცრილა.

ანა კალანდაძე

–თქვი, არ ჯაკველო, ხვიარავ,
ქსანზედ ვინ ჩამოიარა?
-ბუსტერ დოზაზე ვფიქრობდი,
და არა გამიგიარა!

გოგლა ლეონიძე

ყორღანებიდან გნოლი აფრინდა,
ბუმბულის ვარცხნას მოჰყვა ნეკნიდან,
გუნდს შეერია, არ ეშინოდა,
აცრილი იყო, ფეხზე ეკიდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მიჰქრის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი,
მოგვდევს ყორანი, მიუდია სიკვდილის პოზა,
არ გვეშინია, შენი, ყვავო, მეც და მერანსაც,
გუშინწინ უკვე გავიკეთეთ ბუსტერის დოზა.

დუტუ მეგრელი

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი,
აცრილი ვარ სამი დოზით,
ამიტომაც სულ ვარ მშვიდი.

ილია ჭავჭავაძე

ჩემო კარგო ქვეყანა,
რაზედ მოგიწყენია?
აცრილი ვართ სუყველა,
მომავალი ჩვენია.

აკაკი

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე დაკარგულიყო,
აგეცრა დროზე და ერთად,
ხომ ვიქნებოდით, სულიკო ?!

ვაჟა

მაცნე მოიდა შატილსა,
ქისტებმა მოგცეს ზიანი,
ამიტომ ყველა ავიცრათ,
დღენი რომ გვქონდეს მზიანი.

იეთიმ გურჯი

კარგი იყო, არ გამეცან თავიდან,
არ აიცრი? გადაგაგდებ ნავიდან.

ტერენტი გრანელი

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
და ჩემზე ფიქრობს ალბათ, ზოზია,
ავიცერი და კი ვარ კაჟივით
და ჩემში ახლა ანგელოზია.

ლადო ასათიანი

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მშვენიერება მზერით გავცერი,
მინდა, რომ იყოს მუდამ ჩემს გვერდით,
და ამიტომაც სამჯერ ავცერი.

მუხრან მაჭავარიანი

და დღეს თბილისის ქუჩებში დადის
აცრილი გივი, ლონდა თუ ნანი
და იარონ, იარონ, იარონ, ამინ!!!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.